



**2018 წლის 25 დეკემბრის  
სსიპ საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:**

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N33

სხდომის დაწყების დრო: 19:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, ციცილო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, დათუნა მოდეზაძე.

**საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება**

თოდუა დემნა, კიკაჩიშვილი დავით, ნიქაბაძე შორენა, გვილავა ეკა, ფაცაცია გიორგი, ჩაღრაღანიძე ნინო, ნაკვეთაური მერი, ტაგანაშვილი ნინო, მახარაძე სალომე, ლაცუზბაია ვალერი, თორდია გიორგი, ზარანდია გენადი, ცაგურია ანა, დარახველიძე ნინო, ფანოზიშვილი ვაჟა, ხუნწარია ნათია, ბრეგაძე დიმიტრი, ხაბაზი ჯიმა, ხუფენია ანა, სამსონია ანა, ფერაძე გულიკო, მჟავია თამარ, გვარამაძე ნინო, პარკაული ნინო, სურგულაძე მარიამ, გოგლიძე ეკა, სამუშია როზა, ხაჩიძე გიორგი, მაკარაძე ირინე, შენგელია გივი, დოლაკიძე გიორგი, მახარაშვილი ნინო, ასათიანი სოფიო, კვარაცხელია ბორის, არნანია კონსტანტინე ქარქუაშვილი ბაჩანა, ორთოიძე ნანა, ცხადაძე თამარ, კოკიჩაიშვილი ეკატერინე, ჯალაღონია თეიმურაზი, ხარშილაძე გიორგი, ფცქიალაძე სოფიკო, ჭყონიძე გურამ, კვერდელიძე სალომე, კოჭლამაზაშვილი დავით, ღვანია თეა, მისურაძე ლევან, კოჭლამაზაშვილი ზურაბ, მინასიან ანდრანიკ, გოჩიტაშვილი სანდრო, გერგედავა ილია, ზაქუტაშვილი თამარ, ალექსიძე რუსლან, კორსანტია ეკატერინე, მათურელი ქეთევან, ქათამაძე ეთერ, კობახიძე მარიამი, ზედელაშვილი გოდერძი, ფიფია ლევან, კაკუშაძე ლაზარე, ცაავა მაყვალა, დეკანოსიძე ნანა, მუხიაშვილი ნათია, მალრაძე ეკატერინე, მინაშვილი ირაკლი, ოქრუაშვილი გულნარა, ნოზაძე ნათია, დვალიშვილი ავთანდილი, კალმახელიძე ვანო, მახათაძე შოთა, ჩიქოვანი ანა, გოცაძე ლიზა, ციციქიშვილი მარი, თედეშვილი ნინო, ბუკია ოთარ, ზაალიშვილი ლევან, ნაცვლიშვილი ნიკოლოზი, კიკნაძე ანა, გოგიძე თეა, ფანჭულიძე ლაშა, ოსაძე გიორგი, მახათაძე ნუგზარ,

იაშაღაშვილი სალომე, ქსოვრელი ირაკლი, ჯავარაშვილი გიორგი, კუტალაძე თეა, სალთხუციშვილი სოსო, ბუკია დავით, ჟორჟოლიანი გიორგი, თაყაიშვილი თამთა, ძირკვაძე ალექსანდრე, ნუცუბიძე თამთა, ბაჩიაშვილი ლევან, ვანიძე გიორგი, კვარაცხელია გუჯა, ხატიაშვილი ზურაბი, ჯანაშია გიორგი, კობერიძე კახა, მჟავანაძე ნუცა, ასანიძე ნიკა, ბიჭიკაშვილი ლონდა, ხიდემელი თორნიკე, ქისიშვილი ხატია, ქიტოშვილი ბექა, კვანჭიანი არკადი, შანიძე ირაკლი, ქემოკლიძე თამარი, მელაძე მარიამ, სამხარაძე სალომე, მელაძე გიორგი, მუქერია გიორგი, ყურაშვილი სერგო, ცაავა მამუკა, აბაშიძე ლაშა, რუსიტაშვილი ანნა, მამფორია ია, გურაშვილი ქეთევანი, ნარიმანიძე ნოდარ, დიასამიძე ნუკრი, კოპალიანი მამუკა, გაბოძე თეონა, ჭიოკაძე შმაგი, ჭეიშვილი როინი, გრიშვილი ლიკა, კიკვაძე ნათია, გელაძე ნამი, ჯინჯოლია დემეტრე, წულაია ზაზა, ჯინჯოლია მიხეილ, ფიფია მამუკა, ჭიტაძე ნუგზარ, ხარშილაძე ნიკა, ჯინჭველაძე დავით, გაბეხაძე გიორგი, ჭუმბურიძე ქეთევან, დიდმელაშვილი ნათია, რცხელიშვილი გრიგოლ, წულუკიძე ჯემალ, ბოკუჩავა გიორგი, პაპაშვილი ქეთევან, ამირეჯიბი გიორგი, ყურაშვილი სოფიო, ბალამწარაშვილი ნინო, ენუქიძე უშანგი, მეზონია თამაზ, ჯვარშიეშვილი მაია, გიორგობიანი ლევან.

### **საბჭოს წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს:**

საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან. მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ზემოთხსენებული განცხადებები გაწევრიანების შესახებ.**

### **აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:**

(ა) **გიორგი ფრანგიშვილის** განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი საერთო სპეციალიზაციით, რომელიც გაცემულია 2017 წლის 2 ივლისს და ადვოკატ რუსტამ ატაშვილის მიერ გაცემული ცნობა მასზედ, რომ გიორგი ფრანგიშვილმა მის საადვოკატო ბიუროში გაიარა სტაჟირება 2017 წლის 1-ლი დეკემბრიდან 2018 წლის 1-ლი დეკემბრის ჩათვლით.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი**, რომელიც ამავდროულად, უნდა იყოს შესაბამისობაში ამავე კანონის მე-16 მუხლის, პირველი პუნქტით დადგენილ სტაჟირების გავლის წესთან რომლის თანახმად, პირს რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში განცხადებით უნდა მიმართოს ადვოკატს ან

საადვოკატო ბიუროს და სტაჟიორად გამწესების თაობაზე უნდა ეცნობოს ადვოკატთა ასოციაციას კანონით დადგენილი წესით.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტით არ დასტურდება, რომ კანონით დადგენილი წესით გიორგი ფრანგიშვილმა მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული წესით.

წევრებმა განაცხადეს, რომ შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით გიორგი ფრანგიშვილს დაევალოს შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, დამატებით წარმოადგინოს სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი რითაც დადასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

- 1. შეჩერდეს გიორგი ფრანგიშვილის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;**
- 2. გიორგი ფრანგიშვილის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;**
- 3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.**

(ბ) მარიამი კახიძეს განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია 2017 წლის 4 ივნისს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობები გაცემული: შპს „ჯი ელ სი სი“-დან 2018 წლის 11 ივნისიდან დღემდე, 2018 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით, იურისტის სტაჟიორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ, შპს „საგანმანათლებლო საკონსულტაციო ჯგუფის“ დირექტორის თათია ზარქუას მიერ გაცემული ცნობები, 2017 წლის 13 თებერვლიდან 2017 წლის 12 ივნისამდე სტაჟიორად, ხოლო 2017 წლის 12 ივნისიდან 2017 წლის 27 ნოემბრამდე იურისტ-კონსულტანტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ, საადვოკატო ბიურო „კორმახია ჟდენტის“ მიერ გაცემული ცნობა, 2016 წლის 5 მაისიდან 2016 წლის 5 ივლისამდე სტაჟიორად, ხოლო 2016 წლის 6 ივლისიდან 2016 წლის 14 დეკემბრამდე

ადვოკატის თანაშემწის პოზიციაზე მუშაობის შესახებ და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა, 2015 წლის 20 ოქტომბრიდან 2016 წლის 20 აპრილამდე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სტაჟირების შესახებ.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობებს და განაცხადეს, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი ცნობებით აქვს იურისტად მუშაობის 6 (ექვსი) თვის სტაჟი, რაც დასტურდება შპს „საგანმანათლებლო საკონსულტაციო ჯგუფის“ დირექტორის თათია ზარქუას მიერ გაცემული ცნობით, რომლის თანხმადაც მარიამი კახიძე 2017 წლის 12 ივნისიდან 2017 წლის 27 ნოემბრამდე მუშაობდა შპს „საგანმანათლებლო საკონსულტაციო ჯგუფის“ იურისტ-კონსულტანტის პოზიციაზე, ხოლო რაც შეეხება შპს „ჯი ელ სი“-ის მიერ გაცემულ ცნობას 2018 წლის 11 ივნისიდან დღემდე, 2018 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით, იურისტის სტაჟირების პოზიციაზე მუშაობის შესახებ, შპს „საგანმანათლებლო საკონსულტაციო ჯგუფის“ დირექტორის თათია ზარქუას მიერ გაცემული ცნობას, 2017 წლის 13 თებერვლიდან 2017 წლის 12 ივნისამდე სტაჟიორად მუშაობის შესახებ, საადვოკატო ბიურო „კორძახია ჟღენტის“ მიერ გაცემული ცნობას, 2016 წლის 5 მაისიდან 2016 წლის 5 ივლისამდე სტაჟიორად მუშაობისა 2016 წლის 6 ივლისიდან 2016 წლის 14 დეკემბრამდე ადვოკატის თანაშემწის პოზიციაზე მუშაობის შესახებ და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემულ ცნობას, 2015 წლის 20 ოქტომბრიდან 2016 წლის 20 აპრილამდე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სტაჟირების შესახებ, წევრებმა განმარტეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი, რომელიც ამავედროულად, უნდა იყოს შესაბამისობაში ამავე კანონის მე-16 მუხლის, პირველი პუნქტით დადგენილ სტაჟირების გავლის წესთან რომლის თანახმად, პირს რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში განცხადებით უნდა მიმართოს ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს და სტაჟიორად გამწესების თაობაზე უნდა ეცნობოს ადვოკატთა ასოციაციას კანონით დადგენილი წესით, რის თაობაზეც განმცხადებელს ასოციაციისთვის არ უცნობებია.

ასევე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე, რომელიც არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით და არ დაიშვება სამართალწარმოებაში, სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა, ორგანიზაციებში და საზოგადოებრივ გაერთიანებებში. შესაბამისად მარიამი კახიძეს მიერ წარმოდგენილი ცნობები საიდანაც დასტურდება მისი ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის სტაჟი “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ვერ ჩაითვლება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტად.

წევრებმა განაცხადეს, რომ მარიამი კახიძეს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, დამატებით წარმოადგინოს სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი რითაც დადასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

1. შეჩერდეს მარიამი კახიძეს განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. მარიამი კახიძეს განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(გ) ანნა ლილუაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია 2018 წლის 15 დეკემბერს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული მარიამ კუბლაშვილის საადვოკატო ოფისიდან, 2017 წლის 1-ლი დეკემბრიდან დღემდე, 2018 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით სტაჟიორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობებს და განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი**. ასევე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე, რომელიც არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით და არ დაიშვება სამართალწარმოებაში, სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა, ორგანიზაციებში და საზოგადოებრივ გაერთიანებებში. შესაბამისად ანნა ლილუაშვილის მიერ წარმოდგენილი ცნობა საიდანაც დასტურდება მისი ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის სტაჟი ადვოკატთა

შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ვერ ჩაითვლება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტად.

წევრებმა განაცხადეს, რომ ანა ლილუაშვილის შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, დამატებით წარმოადგინოს სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი რითაც დადასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლებად შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

1. შეჩერდეს ანა ლილუაშვილის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. ანა ლილუაშვილის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(დ) ნინო კოჟორიძეს განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია 2018 წლის 2 დეკემბერს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული შპს ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის მიერ, 2018 წლის იანვრიდან დღემდე, 2018 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით იურისტის/ადვოკატის ასისტენტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას და განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი**, ხოლო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ მას აქვს იურისტად მუშაობის 11 თვისა და 20 დღის სტაჟი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ნინო კოჭორიძეს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, დამატებით წარმოადგინოს სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი რითაც დადასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების 1 წლის სტაჟი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

1. შეჩერდეს ნინო კოჭორიძეს განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. ნინო კოჭორიძეს განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(ე) ქეთევან დიდებაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია 2017 წლის 10 დეკემბერს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, აპარატის კანცელარიაში სპეციალისტის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის პოზიციაზე მუშაობისა და ამასთანავე, სხდომის მდივნის ფუნქციების დაკისრების თაობაზე 2018 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის 21 თებერვლის ჩათვლით.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას და განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი**, ხოლო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, მხოლოდ რომ მას აქვს იურისტად მუშაობის 4 თვის სტაჟი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ქეთევან დიდებაშვილს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, დამატებით წარმოადგინოს სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი რითაც დადასტურდება

იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების 1 წლის სტაჟი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულიად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

1. შეჩერდეს ქეთევან დიდებაშვილის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. ქეთევან დიდებაშვილის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(ვ) **ნინო ნიქაბაძეს** განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია 2017 წლის 16 დეკემბერს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობები გაცემული: სს „ქართული ლუდის კომპანიიდან“ 2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან დღემდე, 2018 წლის 19 დეკემბრის მდგომარეობით, იურისტ-ადმინისტრატორის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ, სს „თიბისი ბანკის“ მიერ გაცემული ცნობა 2014 წლის 7 ივლისიდან - 2014 წლის 31 ივლისამდე და 2018 წლის 4 აგვისტოდან - 2018 წლის 31 ოქტომბრამდე საკრედიტო ადმინისტრატორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ, შპს „რეესტრი“-ის მიერ გაცემული ცნობა 2015 წლის 21 ოქტომბრიდან უძრავი ქონების რეესტრის ავტორიზებულ პირად მუშაობის შესახებ და თბილისელების ადვოკატის მიერ გაცემული ცნობა 2014 წლის 17 იანვრიდან - 2014 წლის 17 მაისამდე სტაჟირების გავლის შესახებ.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობებს და განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი**, რომელიც ამავდროულად, უნდა იყოს შესაბამისობაში ამავე კანონის მე-16 მუხლის, პირველი პუნქტით დადგენილ სტაჟირების გავლის წესთან რომლის თანახმად, პირს რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში განცხადებით უნდა მიმართოს ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს და სტაჟიორად გამწესების თაობაზე უნდა ეცნობოს ადვოკატთა ასოციაციას კანონით დადგენილი წესით.



განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ცნობებით დასტურდება, რომ აქვს იურისტად მუშაობის 1 თვის და 19 დღის სტაჟი, რაც დასტურდება სს „საქართველოს ლუდის კომპანიის“ მიერ გაცემული ცნობით, რომლის თანხმადაც ნინო ნიქაბაძე 2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან დღემდე, 19 დეკემბრის მდგომარეობით მუშაობდა იურისტ-ადმინისტრატორის პოზიციაზე, ხოლო რაც შეეხება მის მიერ წარმოდგენილ დანარჩენ ცნობებს წევრებმა განმარტეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი**, რომელიც ამავდროულად, უნდა იყოს შესაბამისობაში ამავე კანონის მე-16 მუხლის, პირველი პუნქტით დადგენილ სტაჟირების გავლის წესთან რომლის თანახმად, პირს რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში განცხადებით უნდა მიმართოს ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს და სტაჟორად გამწესების თაობაზე უნდა ეცნობოს ადვოკატთა ასოციაციას კანონით დადგენილი წესით, რის თაობაზეც განმცხადებელს ასოციაციისთვის არ უცნობებია. ასევე, არ მიუმართავს ადვოკატისთვის ან საადვოკატო ბიუროსთვის სტაჟორად გამწესების თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, ნინო ნიქაბაძეს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, დამატებით წარმოადგინოს სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი რითაც დადასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულიად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

1. შეჩერდეს ნინო ნიქაბაძეს განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. ნინო ნიქაბაძეს განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(ზ) ნანა ოდიშელიძეს განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი,

რომელიც გაცემულია 2015 წლის 23 მაისს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული ადვოკატ ერეკლე კალატაოზიშვილის მიერ (სიითი N6696) მასზედ, ადვოკატის თანაშემწის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2017 წლის 5 სექტემბრიდან დღემდე, 2018 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას და განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.**

ასევე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე, რომელიც არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით და არ დაიშვება სამართალწარმოებაში, სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა, ორგანიზაციებში და საზოგადოებრივ გაერთიანებებში. შესაბამისად ნანა ოდიშელიძეს მიერ წარმოდგენილი ცნობა საიდანაც დასტურდება მისი ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის სტაჟი ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ვერ ჩაითვლება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტად.

წევრებმა განაცხადეს, რომ ნანა ოდიშელიძეს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, დამატებით წარმოადგინოს სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი რითაც დადასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.<sup>1</sup>

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

- 1. შეჩერდეს ნანა ოდიშელიძეს განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;**
- 2. ნანა ოდიშელიძეს განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;**

### **3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.**

(თ) ირაკლი შაკიაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია 2018 წლის 9 ივნისს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2017 წლის 27 იანვრიდან - 2018 წლის 9 დეკემბრამდე მდგომარეობით, საგრანტო პროექტის ფარგლებში მკვლევარის ასისტენტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას და განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი შესაბამისად ირაკლი შაკიაშვილს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, დამატებით წარმოადგინოს სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი რითაც დადასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულიად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- 1. შეჩერდეს ირაკლი შაკიაშვილის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;**
- 2. ირაკლი შაკიაშვილის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;**
- 3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.**

(ი) დავით გვათუას განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი

სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია 2003 წლის 7 დეკემბერს და შრომის წიგნაკი საიდანაც დასტურდება, რომ დავით გვათუა 1998 წლის 15 ივნისიდან - 2001 წლის 22 დეკემბრამდე მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის იურიდიული სამმართველოს სპეციალისტის თანამდებობაზე, 2002 წლის 5 მარტიდან - 2004 წლის 6 აპრილამდე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სამმართველოს მრჩეველის მოვალეობის შემსრულებლად და 2004 წლის 5 აპრილიდან დაინიშნა საქართველოს ლტოლვითა და განსახლების სამინისტროს მინისტრის პირველ მოადგილედ.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით დავით გვათუას მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

- 1. არ დაკმაყოფილდეს დავით გვათუას განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;**
- 2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.**

(ვ) **იური პოვხის** განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია 2017 წლის 3 დეკემბერს და სერთიფიკატები გაცემული სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის მიერ, 2016 წლის 1-ლი მაისიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე, სტაჟირების გავლის შესახებ იურისტის პოზიციაზე, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაცემული სერთიფიკატი იურიდიული დახმარების სამსახურის ბაზაზე ფუნქციონირებადი სისხლის სამართლის იურიდიული კლინიკის პროგრამის გავლის თაობაზე, 2018 წლის 16 ივნისის მდგომარეობით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული სერთიფიკატი 2017 წლის 22 მაისიდან 2017 წლის 22 ნოემბრამდე სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გავლის თაობაზე.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობებს და განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1**

**წლის სტაჟი**, რომელიც ამავდროულად, უნდა იყოს შესაბამისობაში ამავე კანონის მე-16 მუხლის, პირველი პუნქტით დადგენილ სტაჟირების გავლის წესთან რომლის თანახმად, პირს რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში განცხადებით უნდა მიმართოს ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს და სტაჟიორად გამწესების თაობაზე უნდა ეცნობოს ადვოკატთა ასოციაციას კანონით დადგენილი წესით რის თაობაზეც განმცხადებელს ასოციაციისთვის არ უცნობებია, ასევე, არ მიუმართავს ადვოკატისთვის ან საადვოკატო ბიუროსთვის სტაჟიორად გამწესების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება**:

**1. არ დაკმაყოფილდეს იური პოვხის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მესამე „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის გამო;**

**2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.**

(ლ) ირაკლი აბაშიძეს განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია 2003 წლის 11 მაისს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობები გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან 2000 წლის 3 მარტიდან - 2005 წლის 3 მაისამდე სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის შესახებ, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცემული ცნობა 2006 წლიდან 2016 წლის 2 სექტემბრამდე პედაგოგიური მოღვაწეობის თაობაზე და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა 1997 წლის 21 მაისიდან - 2000 წლის 17 აგვისტომდე, 2005 წლის 5 მაისიდან - 2005 წლის 10 აგვისტომდე და 2005 წლის 12 ოქტომბრიდან - 2011 წლის 30 დეკემბრამდე სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ირაკლი აბაშიძეს მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება**:

1. არ დაკმაყოფილდეს ირაკლი აბაშიძეს განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;

2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

(მ) გიორგი ტურძელაძეს განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, გაცემული 2018 წლის 8 დეკემბერს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული სს „თიბისი ბანკის“ მიერ 2014 წლის 30 იანვრიდან დღემდე, 2018 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით უმცროსი საკრედიტო და საკრედიტო ადმინისტრატორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას და განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ცნობით არ დასტურდება, იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს გიორგი ტურძელაძეს განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მესამე „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;

2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

(ნ) მარიამი ტაბიძეს განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, გაცემული 2018 წლის 16 დეკემბერს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ სტაჟირების გავლის შესახებ 2017 წლის 23 ოქტომბრიდან 2018 წლის 23 აპრილამდე.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას და განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი**, რომელიც ამავდროულად, უნდა იყოს შესაბამისობაში ამავე კანონის მე-16 მუხლის, პირველი პუნქტით დადგენილ სტაჟირების გავლის წესთან რომლის თანახმად, პირს რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში განცხადებით უნდა მიმართოს ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს და სტაჟიორად გამწესების თაობაზე უნდა ეცნობოს ადვოკატთა ასოციაციას კანონით დადგენილი წესით რის თაობაზეც განმცხადებელს ასოციაციისთვის არ უცნობებია, ასევე, არ მიუმართავს ადვოკატისთვის ან საადვოკატო ბიუროსთვის სტაჟიორად გამწესების თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ცნობით არ დასტურდება, იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

1. არ დაკმაყოფილდეს მარიამი ტაბიძეს განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მესამე „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

(ო) **თამარი ჩირინაშვილის** განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, გაცემული 2018 წლის 8 დეკემბერს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული სს „თიბისი ბანკის“ მიერ 2011 წლის 14 თებერვლიდან დღემდე, 2018 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო ადმინისტრატორიდა და უფროსი საკრედიტო ადმინისტრატორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას და განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი**.

წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ცნობით არ დასტურდება, იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს თამარი ჩირინაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მესამე „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

(3) თეა აფთარაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი გაცემული 2003 წლის 22 თებერვალს, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი გაცემული 2003 წლის 22 ნოემბერს და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობები გაცემული:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2004 წლის 12 ივლისიდან - 2015 წლის 10 მარტამდე სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის შესახებ, აქედან 2008 წლის 1-ლი თებერვლიდან 2013 წლის 14 ივნისამდე - თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოში დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი თანამდებობაზე, 2013 წლის 14 ივნისიდან - 2014 წლის 25 ივნისამდე - თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი თანამდებობაზე და 2014 წლის 25 ივნისიდან - 2015 წლის 10 მარტამდე თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივი-გამომძიებლის თანამდებობაზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ 2015 წლის 10 მარტიდან საქართველოს პროკურატურაში მუშაობის შესახებ, 2015 წლის 10 მარტიდან - 2016 წლის 23 ივნისის ჩათვლით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად მუშაობისა და 2016 წლის 23 ივნისიდან დღემდე, 2018 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით თბილისის პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად მუშაობის შესახებ.



წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით თეა აფთარაშვილის მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისა და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

1. არ დაკმაყოფილდეს თეა აფთარაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

## **საკითხი 2. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა**

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ შემდეგ განცხადებებს:

ორმოცამე ლალი, მელაძე მარიამ, მებონია თამაზ, მუხიაშვილი ნათია, დეკანოსიძე ნანა, ცაავა მაცვალა, ლონდა წიქიკაშვილი, კვანჭიანი არკადი, შანიძე ირაკლი, გვათუა ეკა, მელაძე ციალა, სახლთხუციშვილი სოსო, კობახიძე მარიამ, ბუკია დავით, გაბუნია დიმიტრი, ფცქიალაძე სოფიკო, ზაალიშვილი ლევან, კოჭლამაზაშვილი დავით, ჯინჯოლია დემეტრე, ჯვარშიშვილი მაია, კენჭოშვილი იური, კიკაჩიშვილი დავით, ვანიძე გიორგი, ნაცვლიშვილი ნიკოლოზ, ჭყოიძე გურამ, კვერდელიძე სალომე, ძირკვაძე ალექსანდრე, კოპალიანი მამუკა, გოგიძე თეა, ჯმუხაძე ნათია, ხაჩიძე გიორგი, გოჩიტაშვილი სანდრო, კვარაცხელია გუჯა, ჯავარაშვილი გიორგი, ხატიაშვილი ზურაბი, კოჭლამაზაშვილი ზურაბ, რუსიტაშვილი ანნა, ბერიანიძე სოფიო, ზედელაშვილი გოდერძი, ჯანაშია გიორგი, ბაჩიაშვილი ლევან, დოლაკიძე გიორგი, ხარშილაძე გიორგი, ორთოიძე ნანა, ქარქუსაშვილი ბაჩანა, სამუშია როზა, ჟივიძე ოთარ, მაკარაძე ირინე, მახათაძე ნუგზარ, ოსაძე გიორგი, თოდუა მარიკა, ხარშილაძე ნიკა, ჭიტაძე ნუგზარ, ფანჩულიძე ლაშა, კუტალაძე თეა, მამფორია ია, გურაშვილი ქეთევან, ქემოკლიძე თამარ, თორდია გიორგი, სამხარაძე სალომე, მადრაძე ეკატერინე, გერგედავა ილია, ზაქუტაშვილი თამარ, ჯალაღონია თეიმურაზ, ამირეჯიბი გიორგი, გელაძე ნამი, კიკვაძე ნათია, გრიშკაშვილი ლიკა, ბერიძე ქეთევან, პაპაშვილი ქეთევან, წულაია ზაზა, თაყაიშვილი თამთა, ჯინჯოლია მიხეილ, თოდუა დემნა, ფიფია მამუკა, ნიქაბაძე შორენა, ფაცაცია გიორგი,

ჩაღრღანბე ნინო, ფანოზიშვილი ვაჟა, ხუნწარია ნათია, ნოზაძე ნათია, ოქრუაშვილი გულნარა, მინაშვილი ირაკლი, კიკნაძე ლია, დვალიშვილი ავთანდილ, გრიგოლ რცხელაშვილი, ჯინჭველიძე დავით, ნუცუბიძე თამთა, 2018-2019 წლების დავალიანების მქონე წევრი - გია თვალავაძე.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა.

გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველი წლიდან, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირს - გია თვალავაძეს ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.**

### **საკითხი 3. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება**

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი პირების გიორგი ნარმანიას და მათა მუშკუდიანის განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს კანონის „ადვოკატთა“ შესახებ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

**მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

“ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი გიორგი ნარმანიას და მათა მუშკუდიანის განცხადებები.

### **საკითხი 4. საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა**

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ გივი ბიბილაძეს განცხადებას 2018/2019 წლის საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების, მათა ბიბილაშვილის განცხადებას საწევრო გადასახადის განახევრებისა და სალომე კალაიჯიშვილის, ნინო ჩიმაკაძეს და მარიამ გელაშვილის განცხადებებს 2019 წლის საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე.

აღნიშნული საკითხი დადგა კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი გივი ბიბილაძეს, სალომე კალაიჯიშვილის, მათა ბიბილაშვილის, ნინო ჩიმაკაძესა და მარიამ გელაშვილის განცხადებები, წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
2. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებლებს.

### **საკითხი 5. ადვოკატთა ერთიან სიაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა**

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ადვოკატების მალხაზ შვიდბიჭაშვილისა და თათია კერესელიძეს გარდაცვალების შესახებ, რაც დასტურდება მათი ოჯახის წევრების მიერ წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობებით.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ ცნობებს და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. ადვოკატი მალხაზ შვიდბიჭაშვილი (სიითი N2466) ამოღებულ იქნას მოქმედ ადვოკატთა ერთიანი სიიდან;
2. ადვოკატი თათია კერესელიძე (სიითი N6620) ამოღებულ იქნას მოქმედ ადვოკატთა ერთიანი სიიდან.

### **საკითხი 6. 2018 წლის ტრენინგ დავალიანების მქონე ადვოკატთა განცხადებების განხილვა**

წევრები გაეცნენ ნანა დოლიძისა და გიორგი მარიამიძეს განცხადებებს განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში 2018 წლის სავალდებულო ტრენინგების გავლისგან გათავისუფლების თაობაზე.

საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საგანმანათლებლო საბჭოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირა საბჭოს სრულმა შემადგენლობამ, შესაბამისად განცხადებებში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიაჩნია მათი გათავისუფლება 2018 წლის სავალდებულო ტრენინგების გავლისგან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება**:

1. დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი ნანა დოლიძეს და გიორგი მარიამიძეს განცხადებები, განცხადებებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.
2. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებლებს.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge)

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**დავით ასათიანი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაციის თავმჯდომარე**